



ევროკავშირი
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა



GFA-ISET ანალიტიკა

ხორბალი



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION



Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

თბილისი, 2017





ხორბალი


ხორბლის წარმოება მსოფლიოს მასშტაბით

ხორბალი დაახლოებით 12,000 წლის წინ მოშინაურებული მარცვლოვანი კულტურაა, რომლის ისტორიაც სპარსეთის ყურეს, ხმელთაშუა და წითელ ზღვებს შორის არსებულ ე.წ. „ნაყოფიერ ნახევარმთვარეს“ უკავშირდება. ხორბალი მოიხმარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით და იგი ნახშირწყლების მთავარი წყაროა.

ხორბალი კვების ძირითადი პროდუქტების კატეგორიას მიეკუთვნება და, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, მისი მოხმარება წლიურად ერთ ადამიანზე [პურ-პროდუქტების სახით] დაახლოებით 110 კგ-ს შეადგენს. ხორბლისგან მზადდება პურ-პროდუქტები და ამ მარცვლეულის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ საქსტატი ყოველწლიურად ითვლის ქვეყნის ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტს (საქართველოში წარმოებული ხორბლის რაოდენობის შეფარდება საქართველოშივე მოხმარებული ხორბლის რაოდენობასთან). აღნიშნული კოეფიციენტის ბოლო ათწლეულის მაქსიმალური სიდიდე დაფიქსირდა 2016 წელს და მან 19% შეადგინა, რაც მაინც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ქვეყანა კი ბოლო წლებში საშუალოდ 800 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს.

გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)-ს მონაცემებით 2014 წელს ყველაზე დიდი ოდენობით ხორბალი აწარმოეს: **ჩინეთმა** (126 მლნ. ტონა), **ინდოეთმა** (96 მლნ. ტონა), **რუსეთმა** (60 მლნ. ტონა), **აშშ-მ** (55 მლნ. ტონა) და **საფრანგეთმა** (39 მლნ. ტონა).

გრაფიკი 1: ხორბლის წარმოება მსოფლიოში (მილიონი ტონა)




წყარო: FAOSTAT (2017 წლის 3 აპრილის მონაცემებით)

ხორბლის მთავარი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში

2014 წელს საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე მეტი რაოდენობით ხორბალი გაყიდეს შემდეგმა ქვეყნებმა: **აშშ** (25 მლნ. ტ.), **კანადა** (24 მლნ. ტ.), **რუსეთი** (22 მლნ. ტ.), **საფრანგეთი** (20 მლნ. ტ.) და **ავსტრალია** (18 მლნ. ტ.). ამავე წელს ხორბლის ექსპორტით მიღებული შემოსავლით ლიდერობდა აშშ (7,8 მილიარდი დოლარი), ხოლო აღნიშნული ხუთი ქვეყნის ჯამურმა შემოსავალმა 31 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

გრაფიკი 2: ხორბლის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში




წყარო: *trademap.org* (2017 წლის 3 აპრილის მონაცემებით)

2014 წელს საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე დიდი მოცულობით ხორბალი შეისყიდეს **იტალიამ** (7,5 მლნ. ტ.), **ინდონეზიამ** (7,4 მლნ. ტ.), **ალჟირმა** (7,4 მლნ. ტ.), **ირანმა** (7,4 მლნ. ტ.) და **მოზამბიკმა** (5,9 მლნ. ტ.). იტალიის მიერ ხორბლის იმპორტზე გაწეულმა დანახარჯმა 2,4 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო აღნიშნული ხუთი ქვეყნის ჯამური მაჩვენებელი 9,3 მილიარდი დოლარი იყო.



გრაფიკი 3: ხორბლის მთავარი იმპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში




წყარო: *trademap.org* (2017 წლის 3 აპრილის მონაცემებით)



ხორბლის წარმოება საქართველოში

საქსტატისა და ფაოსტატის მონაცემებით, 2001-2006 წლებში საქართველოში ხორბლის წარმოება დაახლოებით 237 ათასი ტონით შემცირდა და 2006 წელს 70 ათასი ტონა შეადგინა. 2006-2008 წლებში დაფიქსირებული ზრდის შემდეგ, წარმოების მოცულობა კვლავ დაეცა და 2010 წელს საქართველოში მხოლოდ 48 ათასი ტონა ხორბალი იწარმოა. გამორჩეული აღმოჩნდა 2015 წელი, როცა ქვეყანაში ხორბლის წარმოება 2014 წელთან შედარებით თითქმის გასამმაგდა და 126 ათას ტონას გაუტოლდა, ხოლო 2016 წელს დაფიქსირდა ბოლო 10 წლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 127 ათასი ტონა.

გრაფიკი 4: ხორბლის წარმოება საქართველოში 2001-2016 წლებში




წყარო: *FAOSTAT* (2017 წლის 4 ივლისის მონაცემებით)

საქსტატი (2017 წლის 4 ივლისის მონაცემებით)

ხორბლის მოსავლიანობა საქართველოსა და მსოფლიოში

ხორბლის მოსავლიანობა საქართველოში ბოლო პერიოდში არათანაბარი, მაგრამ მეტ-ნაკლებად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2015-2016 წლებში დაფიქსირდა ბოლო ათწლეულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - ერთ ჰექტარზე 2,6 ტონის ოდენობით. ამის მიუხედავად, ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობა ქვეყანაში უფრო დაბალია ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში — FAO-ს მონაცემებზე დაყრდნობით, 2011 წლიდან მოყოლებული ხორბლის საშუალო მოსავლიანობა მსოფლიოში სტაბილურად აღემატება 3 ტ/ჰა-ს.

გრაფიკი 5: ხორბლის საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა) საქართველოში




წყარო: საქსტატი (2017 წლის 4 ივლისის მონაცემებით)

ხორბლის ექსპორტი საქართველოდან

ბოლო წლებში საქართველოდან ექსპორტირებული ხორბლის რაოდენობა მკვეთრად დაეცა და 2015 წელს დაფიქსირდა ბოლო 15 წლის მინიმალური მაჩვენებელი, როცა სომხეთში ექსპორტზე გავიდა 249 ათასი დოლარის ღირებულების ხორბალი (სულ 656 ტ.). ზოგადად, სომხეთი ქართული ხორბლის ერთადერთი სტაბილური საექსპორტო ბაზარია და იშვიათია შემთხვევები, როცა საქართველოდან ხორბალი გადის სხვა ქვეყნებშიც (აღსანიშნავია, რომ ექსპორტზე გატანილი ხორბალი ძირითადად რუსეთიდან შემოტანილი ხორბლის რე-ექსპორტია). რაც შეეხება ხორბლის ექსპორტის მაქსიმალურ სიდიდეს, იგი დაფიქსირდა 2012 წელს, როცა ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში გავიდა 166 ათასი ტონა ხორბალი (ჯამური ღირებულებით 49,8 მლნ. დოლარი).



გრაფიკი 5: ხორბლის ექსპორტი საქართველოდან




წყარო: საქსტატი (2017 წლის 3 აპრილი მონაცემებით)
 trademap.org (2017 წლის 3 აპრილი მონაცემებით)
 FAOSTAT (2017 წლის 3 აპრილის მონაცემებით)

ხორბლის იმპორტი საქართველოში

საქართველოში 2001 წლიდან ხორბლის იმპორტი უმეტესწილად ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და მისი მაქსიმალური სიდიდე დაფიქსირდა 2012 წელს — 898 ათასი ტონა (ჯამური ღირებულებით 240 მილიონი დოლარი). 2013 წლიდან კი ქვეყანაში დაიწყო ხორბლის იმპორტის კლების ტენდენცია და 2016 წელს მისი მაჩვენებელი 456 ათას ტონამდე (ჯამური ღირებულებით 86 მილიონი დოლარი) შემცირდა. ამის მიუხედავად ხორბალი რჩება #1 იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტად ქვეყანაში. რაც შეეხება იმპორტიორ ქვეყნებს, რუსეთის წილი ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა და 2016 წელს 99%-ს გადააჭარბა, ხოლო ყაზახეთიდან შემოტანილი ხორბლის რაოდენობა 2012 წელს არსებული 517 ათასი ტონიდან 2015 წელს 7 ათას ტონამდე დაეცა და 2016 წელს საერთოდ განულდა. გასულ წელს მკვეთრად იკლო იმპორტმა უკრაინიდანაც და მისმა სიდიდემ მხოლოდ 178 ტონა შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით 68-ჯერ უფრო ნაკლებია.



გრაფიკი 6: ხორბლის იმპორტი საქართველოში




წყარო: საქსტატი (2017 წლის 3 აპრილი მონაცემებით)
 trademap.org (2017 წლის 3 აპრილი მონაცემებით)
 FAOSTAT (2017 წლის 3 აპრილის მონაცემებით)

ხორბლის მწარმოებელთა ფასები მსოფლიოში

FAO-ს მონაცემებით, ხორბლის წარმოებით ლიდერ ხუთივე ქვეყანაში 2001-2012 წლებში თანდათან იზრდებოდა მწარმოებელთა ფასები, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ 2008-2009 წლები, როცა ფასები სწრაფად დაეცა (ძირითადად, ფინანსური კრიზისის გამო). 2012 წლიდან ფასების კლების ტენდენცია კვლავ გაგრძელდა საფრანგეთსა, რუსეთსა და აშშ-ში, ხოლო ჩინეთში ფასების მატებას 15 წელია პერმანენტული ხასიათი აქვს.

გრაფიკი 7: ხორბლის მწარმოებელთა ფასები მსოფლიოში




წყარო: FAOSTAT (2017 წლის 31 მარტის მონაცემებით)
 (2010 წლის მონაცემები ჩინეთის შესახებ არ მოიპოვება)

ხორბლის მწარმოებელთა ფასები საქართველოსა და ევროკავშირში

FAO-ს მონაცემებით, ბოლო წლებში საქართველოსა და ევროკავშირში ხორბლის მწარმოებელთა ფასები საკმაოდ მერყევი იყო, მაგრამ ისინი თანდათან ერთმანეთს უახლოვდებოდა. იმის მიუხედავად, რომ ფასები საქართველოში ჯერ კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირში, მათ შორის სხვაობა 2015 წელს უმნიშვნელო იყო (188,4 დოლარი/ტონა ევროკავშირში და 196,1 დოლარი/ტონა საქართველოში), მაშინ როცა ეს სხვაობა 2000 წელს 1 ტონაზე 206 დოლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველოში დაფიქსირდა ხორბლის მწარმოებელთა ფასების ბოლო ათწლეულის მაქსიმუმი (304,0 დოლარი/ტონა), ხოლო 2015 წელი გამორჩეული იყო ფასების სიმცირით.

გრაფიკი 7: ხორბლის მწარმოებელთა ფასები საქართველოში




წყარო: FAOSTAT (2017 წლის 3 აპრილის მონაცემებით)

ხორბლის ფასები საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების მიერ შეგროვებული მონაცემების მიხედვით, ქართული ხორბლის სამომხმარებლო ფასები ბოლო ორი წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ შემცირდა. ივლისი2016-ივნისი2017 პერიოდის გასაშუალოებული ფასი 0,03 ლარით ნაკლებია ვიდრე ივლისი2015-ივნისი2016 პერიოდის ანალოგიური სიდიდე. რაც შეეხება კავშირს სამომხმარებლო (საცალო) და მწარმოებლის (საბითუმო) ფასებს შორის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, ისინი მსგავსი მიმართულებით მოძრაობს და ფასებს შორის სხვაობა დაახლოებით 0,18 ლარს შეადგენს.


გრაფიკი 8: ხორბლის სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასები საქართველოში



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
 შენიშვნა: მონაცემები აფხაზეთისა და თბილისის შესახებ არ არსებობს

ხორბლის სამომხმარებლო ფასები საკმაოდ განსხვავდება რეგიონების მიხედვითაც, მაგრამ ეს განსხვავება შედარებით მცირდება ხორბლის მოსავლის ადების დროს. უშუალოდ 2017 წლის ივნისში, ხორბალი ყველაზე ძვირი იყო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (0,77ლარი/კვ), ყველაზე იაფი კი — კახეთში (0,57ლარი/კვ). რაც შეეხება ბოლო ორი წლის გასაშუალოებულ ფასებს, ხორბალი ზოგადად უფრო ძვირი ღირდა დასავლეთ საქართველოსა და ქვეყნის მთიან რეგიონებში, შედარებით იაფი კი ხორბლის მწარმოებელ რეგიონებში (კახეთსა და ქვემო ქართლში).

გრაფიკი 8: ხორბლის ბოლო 24 თვის გასაშუალოებული სამომხმარებლო ფასები საქართველოს რეგიონებში



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
 შენიშვნა: მონაცემები აფხაზეთისა და თბილისის შესახებ არ არსებობს





**ევროკავშირი
საქართველოსთვის**

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

პროექტი მხარდაჭერილია ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის მიერ. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთავარი მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება საქართველოში, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მხარდაჭერის გზით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ www.enpard.ge

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის დახმარებით.

მის შინაარსზე პასუხისმგებელია CARE და მისი პარტნიორები - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია და ISET-PI.

პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.